



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა



განკარგულება:გ-95.95253605

თარიღი:26/12/2025

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9 (ცხრა) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით თხოვნების უფლებით შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (მამუკა თურმანიძე) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვნების უფლებით 5 (ხუთი) წლის ვადით შპს „ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს (ს/კ 2467544150) გადასცეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9 (ცხრა) ერთეული მოძრავი ქონება, კერძოდ შემდეგი ავტომობილი:

- ა) VAZ, LADA 21214, სატრ. საშ. სარეგისტრაციო ნომერი: XTA212140F2206727, სახელმწიფო ნომერი:BC-885-BF, ღირებულება შეადგენს 7000 ლარს;
- ბ) VAZ, LADA 21214, სატრ. საშ. სარეგისტრაციო ნომერი: XTA212140F2206749, სახელმწიფო ნომერი: BC-882-BF , ღირებულება შეადგენს 8500 ლარს;
- გ) VAZ, LADA 21214, სატრ. საშ. სარეგისტრაციო ნომერი: XTA212140F2206761, სახელმწიფო ნომერი: BC-886-BF; ღირებულება შეადგენს 8500 ლარს;
- დ) VAZ, LADA 21214, სატრ. საშ. სარეგისტრაციო ნომერი: XTA212140F2206802, სახელმწიფო ნომერი: BC-881-BF; ღირებულება შეადგენს 7000 ლარს;
- ე) VAZ, LADA 21214, სატრ. საშ. სარეგისტრაციო ნომერი: XTA212140E2206810, სახელმწიფო ნომერი: BC-884-BF; ღირებულება შეადგენს 9000 ლარს;
- ვ) VAZ, LADA 21214 სატრ. საშ. სარეგისტრაციო ნომერი: XTA212140E2206755,

სახელმწიფო ნომერი: BC-887-BF; ღირებულება შეადგენს 8000 ლარს;

ზ) VAZ, LADA 21214 სატრ. საშ. სარეგისტრაციო ნომერი: XTA212140E2206736, სახელმწიფო ნომერი: BC-883-BF; ღირებულება შეადგენს 8500 ლარს;

თ) VAZ, 21214, სატრ. საშ. სარეგისტრაციო ნომერი: XTA212140E2208708, სახელმწიფო ნომერი: ND-767-ND; ღირებულება შეადგენს 9500 ლარს;

ი) UAZ 374195, სატრ. საშ. სარეგისტრაციო ნომერი: XTT374195G1204824-374100G0483749, სახელმწიფო ნომერი: XK-676-KX. ღირებულება შეადგენს 10000 ლარს;

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს (მამუკა თურმანიძე).

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

